ს ა ნ ო ტ ა რ ო აქტი

საქართველო

ორიათასთოთხმეტი წლის ექვსი აგვისტოს მე, მაია ბრეგვაძეს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ. №1, მომმართა შპს «სბ»-ს (რომელიც რეგისტრირებულია 15.04.2014 საიდენტიფიკაციო კოდით 405039042) დირექტორმა **აბესალომ თავბერიძემ** (დაბ.26.01.1968წ. თბილისი მცხ. ქ.თბილისი ატენის ქუჩა №3, პირადი №01008013683) მან მოითხოვა წინამდებარე მინდობილობის შედგენა და მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მე მოვამზადე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, შპს «სბ»-ს (რომელიც რეგისტრირებულია 15.04.2014 საიდენტიფიკაციო კოდით 405039042) დირექტორი **აბესალომ თავბერიძე** (დაბ.26.01.1968წ. თბილისი მცხ. ქ.თბილისი ატენის ქუჩა №3, პირადი №01008013683) ამ მინდობილობით სრულ უფლებამოსილებას ვანიჭებ **რევაზ ტყემალაძეს** (დაბ.09.08.1977 თბილისი, პირადი №01024004230) იყოს ჩემი, როგორც შპს «სბ»-ს წარმომადგენელი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, საკადასტრო და სხვა შესაბამის სამსახურებში, აწარმოოს ჩემი, როგორ შპს «სბ»-ს დირექტორის სახელით საქმეები, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ნახაზები, პროექტი, შეიტანოს ყველა სახის განაცხადება და შეუზღუდავად მოაწეროს ჩემი, როგორც შპს «სბ»-ს დირექტორის სახელით ხელი საჭიროებისამებრ სათანადოდ დოკუმენტაციას, რაც დაკავშირებული იქნება საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე **ქალაქი თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №36ა-39ა, ნაკ. 40/302/ქალაქი თბილისი ალ.ყაზბეგის გამზირი №34** (ს/კ 01.14.03.040.344) და **ქალაქი თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №36ა-39ა, ნაკ. 40/302/ქალაქი თბილისი ალ.ყაზბეგის გამზირი №34** (ს/კ 01.14.03.040.343)საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის, აწარმოოს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პროცედურები და ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ზემოთმითითებული დავალებების შესასრულებლად. მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების გადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა, დღგ 1,80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლით. 2.00 ლარი – რეგისტრაციის საფასური 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, სულ გადახდილია: 13,80 ლარი

შპს «სბ»-ს დირექტორი **აბესალომ თავბერიძე** / ანძელი თავბერიძე /

ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

58905239698914

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140827209

რეგისტრაციის თარიღი

06.08.2014 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18